ბიჭვინთელი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№6 (36) ივნისი 2010 წელი

წმ. დიდი მეფენი, მოც. სწორნი კონსტანტინე და ელენე

სვეტიცხოვლი - უძველესი მართლმადიდებლური სიწმინდის მცველი

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

სვეტიცხოველი – უდიდესი მართლმადიდებლური სიწმინდის მცველი

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II კურთხევით სვეტიცხოვლის 1000 წლისთავთან დაკავშირებით ამ დიდებულ ტაძარში ყოველდღე აღესრულება წირვა წმ. სინოდის წევრი რომელიმე მღვდელთმთავრის მიერ. 2010 წლის 7 ივნისს, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის დღეს, წირვა აღასრულა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილმა). ტაძარში მცხეთა-თბილისის ეპარქიის მრევლთან ერთად იმყოფებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის მთავრობის, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები, აფხაზეთის დევნილი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მეუფე დანიელმა ქადაგებით მიმართა ტაძარში მყოფ საზოგადოებას:

„ქრისტესმიერ საყვარელნო მამანო, დედანო, ძმანო და დანო!

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ წელს სრულდება სვეტიცხოვლის ტაძრის, აი ამ ტაძრის მშენებლობის აღსრულების 1000 წელი. ეს არის უდიდესი მოვლენა ჩვენი ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში, რადგანაც სვეტიცხოველი არის ხელთუქმნელი ტაძარი, უფლის მიერ შექმნილი, არა ადამიანის მიერ შექმნილი ტაძარი. და იგი აღიმართა უფლის კვართსა ზედა, როგორც ნიშანი საქართველოში ამ უდიდესი სიწმინდის მობრძანებისა, დამარხვისა. კვართი უფლისა, წმიდა მამების სწავლებით, არის სიმბოლო ეკლესიის განუყოფლობისა. ერთადერთი სიწმინდე ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც არ დანაწევრდა, ეს არის კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რადგანაც იგი არის სიმბოლო ეკლესიის და ქრისტიანთა ერთიანობისა, მთლიანობისა და განუყოფლობისა. და იგი ამთლიანებს არამარტო საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს, არამედ მსოფლიო მართლმადიდებელ ქრისტიანებს, ანიჭებს ერთიანობის და მთლიანობის ძალას. ეს არის მთელი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი სიწმინდე და, შეიძლება ითქვას, უდიდესი მცველი და მფარველი. და ბედნიერია ქართველი ერი, რომ იგი ღირსი გახდა ყოფილიყო მსახური აი ამ დიდი სიწმინდისა და ჩვენს ქვეყანაში დამარხულიყო ეს უდიდესი სულიერი განძი, მაგრამ რამდენადაც დიდია მადლი, რომელიც გადმოდის კვართიდან საქართველოზე, იმდენად დიდია პასუხისმგებლობა ქართველი ერისა ღვთის წინაშე, რადგანაც წერია სახარებაში: ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება. ჩვენს ერს არ ეპატიება რწმენაში მერყეობა, შეორგულება, სიწმინდესთან დაცილება. და როცა ეს ხდებოდა ჩვენს ისტორიაში, განსაცდელი განსაცდელს მოჰყვებოდა, მაგრამ შემდგომ ერი კვლავ უბრუნდებოდა უფალს და კვლავ მისი ცხოვრება აღმავლობის გზაზე დგებოდა.

ჩვენ ვართ მოწმე იმ ისტორიული მოვლენებისა, როდესაც ჩვენმა ერმა კიდევ ერთხელ გამოიარა დიდი დაცილება სიწმინდისაგან, ეკლესიისაგან, სარწმუნოებისაგან, ღვთისაგან, მაგრამ, ამავე დროს, დაწყებულია კვლავ უფლისაკენ სვლა, დაწყებულია უფლისაკენ შემობრუნება და ამისი სიმბოლო არის ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ჩვენი უწმიდესი, რომლის მოსვლითაც დაიწყო დიდი შემობრუნება, ქართველი ერის სულიერების გზაზე დაბრუნება და ეს პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერდება, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველებით, რაც დრო გავა, დედამიწაზე რწმენა შემცირდება, შესუსტდება, სიყვარული განქარდება და აი სწორედ ამ მოვლენაში ჩვენ ვხედავთ ღვთის კიდევ ერთ საოცარ განგებას და წყალობას, რომ იმდენად უყვარს უფალს და იმდენად იფარავს ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას, რომ მიუხედავად დიდი ცოდვებისა, უფალი არ გვტოვებს, უფალი გვაძლევს ჩვენ ძალას, რომ მოვინანიოთ, შემოვბრუნდეთ უფლისაკენ და კვლავ სულიერი აღმავლობის გზაზე დავდგეთ. ეს არის ის, რამაც გადაარჩინა და მოიყვანა დღემდე საქართველო და ეს არის, რაც გადაარჩენს მას მომავალში. და ეს არის საწინდარი იმისა, რომ მიუხედავად იმისა, რაც ხდება დღეს საქართველოში, იმ სირთულეებისა, შინაური თუ საგარეო განსაცდელებისა, ჩვენ ვხედავთ, რომ მადლი ღვთისა სულ უფრო და უფრო მატულობს ჩვენს ქვეყანაში, სულ უფრო და უფრო ძლიერდება რწმენა და 1000 წელი სვეტიცხოვ-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ლისა, ამ კვართის, შეიძლება ითქვას, მცველი ტაძრისა, ეს არის უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი ჩვენი ერის გაძლიერების, გამთლიანების გზაზე და პატრიარქმა მიიღო არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომ სვეტიცხოვლობის დღესასწაულამდე, დაწყებული მაისის პირველი რიცხვებიდან ვიდრე 14 ოქტომბრამდე, სვეტიცხოველში ყოველდღე აღესრულებოდეს წირვა წმიდა სინოდის რომელიმე მღვდელთმთავრის მიერ მორიგეობით. და აი დღეს ეს მორიგეობა წილად ხვდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს და რასაკვირველია, ეს ლოცვა არის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მთლიანობისა და მშვიდობისათვის, თუმცაღა საქართველოს მთლიანობისა და მშვიდობის საკითხი უპირველეს ყოვლისა — ეს არის აფხაზეთში მშვიდობის აღდგენა, ტერიტორიული მთლიანობა, ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა და რასაკვირველია, დღევანდელი ჩვენი ლოცვა განსაკუთრებულია აფხაზეთისათვის. და მე მინდა დაგლოცოთ ყველანი: ჩვენი სამღვდელოება, ჩვენი მრევლი, როგორც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სახით, ასევე მცხეთა-თბილისის და სხვა ეპარქიების წარმომადგენელნი, ვინც დღეს აქ ბრძანდებით, მინდა დაგლოცოთ, გისურვოთ დიდი მადლი ყველას, თითოეულს, თქვენს ოჯახებს დღევანდელი თქვენი მონაწილეობისათვის ამ დიდებულ ლოცვაში და ასევე მწამს, რომ დღევანდელი ლოცვა, როგორც ყველა წირვა სვეტიცხოველში აღსრულებული ჩვენი მღვდელმთავრებისა, კიდევ უფრო მიგვაახლოვებს საქართველოს მშვიდობასთან და საქართველოს მთლიანობასთან და გილოცავთ ყველას ამ ბედნიერ დღეს. ძალიან სიმბოლურია ის, რომ დღევანდელ დღეს არის ხსენება იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავის მესამედ პოვნისა. თქვენ იცით ეს ისტორია, რომ იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი, როგორც უდიდესი სიწმინდე, სამჯერ იყო დაკარგული ეკლესიის წიაღიდან სხვადასხვა მიზეზების გამო. თქვენ იცით, რომ სხვადასხვა განსაცდელების ჟამს ხდებოდა სიწმინდეების გატაცება და ღვთის განგებით სიწმინდეები ხშირად უბრუნდებოდა დედაეკლესიას. სამჯერ იყო გატანილი დედაეკლესიიდან იოანე ნათლისმცემლის თავი და სამჯერ დაბრუნდა. და ამ დღესასწაულებს ეწოდება მისი თავის პოვნის დღესასწაულები. პირველი, მეორე და მესამე პოვნა იოანე ნათლისმცემლის თავისა. და მესამედ სიწმინდე ღვთის განგებით აღმოაჩინა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აფხაზეთში, სოფელ კომანში, იქ, სადაც აღესრულა წმ. ვასილისკო და არის ვასილისკოს წყარო, იქ, სადაც აღესრულა იოანე ოქროპირი და არის მისი სარკოფაგი, სადაც იგი იყო დასვენებული და სადაც არის ტაძარი და მონასტერი, და სადაც აი ამ ბოლო წლებში აღესრულა ახალგაზრდა მღვდელმსახური ანდრია (ყურაშვილი) და მასთან ერთად ეკლესიის წმ. გიორგის ორდენის მფლობელი, ღირსეული შვილი, იური (გიორგი) ანუა. მოწამეობრივად აღესრულა იგიც. და აი ამ კომანში იპოვეს მესამედ იოანე ნათლისმცემლის თავი და ეს ძალიან სიმბოლურია, რომ სიწმინდე, მსოფლიო მნიშვნელობის სიწმინდე დაუბრუნდა მართლმადიდებელ ეკლესიას აფხაზეთიდან. და ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ აფხაზეთიდან დაიწყება საქართველოს გამთლიანება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, როგორც ამას ჩვენი პატრიარქი ამბობს, რადგანაც დაბრუნება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფალი ინებებს და როდესაც ჩვენ დავიმსახურებთ ამას. საქართველო წმიდა მიწაა და მისი მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ წმინდა ერი. და როდესაც ეს სიწმინდე სრულად აღდგება (დაწყებულია ეს პროცესი სიწმინდის აღდგენისა საქართველოში) და როდესაც ეს პროცესი სრულად აღდგება, მაშინ სრულად აღდგება საქართველო ღვთისგან დადგენილ საზღვრებში, რომელიც უფალმა დაუდგინა წმინდა ერს. ვილოცოთ, რომ მალე დადგეს ეს დრო, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. უფალი ჩვენ გვერდით არის, იგი მზად არის, რომ მოგვანიჭოს წყალობა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ მიმღები, ჩვენ უნდა ვიყოთ მზად მის მისაღებად. მეფსალმუნე მეფე დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.“ ვევედროთ უფალს, რომ განგვიახლოს სული წრფელი სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს და მაშინ ჭეშმარიტად ჩვენ ვიხილავთ საქართველოს გამთლიანებას და გაბრწყინებას. ღმერთმა მალე მოგვასწროს ამ დღეს. ყველას გლოცავთ, გილოცავთ, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ.“

ჩვენი ეფუჯველი წმიდანები

3 ივნისს მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს მოც. სწორთა კონსტანტინე მეფისა (337) და ელენე დედოფლის (327) ხსენებას. მოციქულთა სწორი ელენე დედოფალი იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედა იყო, რომლის ღვაწლითა და მეოხებით მისმა ვაჟმა ქრისტიანობის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ბიზანტიაში, ააგო უამრავი ტაძარი. წმ. ელენე დედოფალი, კონსტანტინეს თხოვნით, სამღვდელოებასთან ერთად გაემგზავრა იმ ჯვრის მოსაძებნად, რომელზედაც გაკრული იყო უფალი ჩვენი იესო ქრისტე და იპოვა კიდევაც ის. მის სახელს უკავშირდება მაცხოვრისა და ყოვლდწმიდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრების ადგილების გაწმენდა და იქ ტაძრების აგება.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ამ დღესთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყო სასულიერო და საერო პირებს. მოწვეულები იყვნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), დეკანოზი ბიძინა (გუნია), ფერისცვალების ტაძრის იღუმენი დედა მარიამი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მდივანი მონოზონი ელენე (ნაფეტვარიძე), მონოზვნები პარასკევა და ნატალია, პოეტი ლია სტურუა, კომპოზიტორი კახა ცაბაძე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მეუღლე ქეთევან კაჭარავა და სხვ. საღამოზე ისაუბრეს წმ. ელენე დედოფლის ღვაწლზე, მიულოცეს ეს დღე დედა ელენეს, რომლის მთელი არსება მიმართულია ღვთის მსახურებისაკენ და დამსწრეთა ნათესავ ყველა ელენეს. კახა ცაბაძემ შეასრულა სიმღერა „აღსარება“, რომე-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

ლიც მამას, გოგი ცაბაძეს უძღვნა.

მეუფე დანიელი:

— სულიერება მუდამ შეზავებული უნდა იყოს დიდ სიყვარულთან და ეს ცენტრი სწორედ ამართლებს ამას, თავის სახელწოდებას. იგი არის არა მარტო მაღალი კულტურის, მაღალი ესთეტიკის, მშვენიერების შემოქმედი და წარმომადგენელი, არამედ მაღალი სულიერების და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. სულიერება და კულტურა ერთად არის. მე ვიტყოდი, რომ ჭეშმარიტი კულტურა წარმოუდგენელია სულიერების გარეშე და ჭეშმარიტი სულიერება, რასაკვირველია, კულტურის, შემოქმედების, მშვენიერების გარეშე წარმოუდგენელია. ფსალმუნში დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“, სადაც უფალია, იქ მშვენიერებაა და იქ, სადაც მშვენიერებაა ჭეშმარიტი, იქ უფალია და მე მინდა ვთქვა, რომ ამ ცენტრს აქვს რაღაც საოცარი უნარი, რომ ორივე ეს გამთლიანებულად მიიტანოს თანამედროვე ადამიანთან, აღავსოს ამით, განაცდევინოს და რაც მთავარია, მე გამოვყოფდი, რომ მოსახლეობისათვის ეს არის დიდი ნუგეში. ადამიანები მიდიან რაღაც გამხნევებულები იმედით და აღჭურვილი ახალი ძალებით. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი პატრიარქის კურთხევით შეიქმნა ეპარქიისა და აფხაზეთის მთავრობის თანამშრომლობით და იგი ძალიან დიდ და მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა და ვფიქრობ, რომ ამას ყველა აფასებს. უპირველეს ყოვლისა, ყველაზე დიდი შემფასებელი არის პატრიარქი და იგი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ამ ცენტრს, მოსწონს, უყვარს ეს ცენტრი. ასევე აფხაზეთის მთავრობაც და, რასაკვირველია, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაც და სამღვდელოებაც. მინდა მოგილოცოთ, ქალბატონო სვეტლანა, რომ თქვენი შემოქმედების ნაყოფი არის ხალხისთვის მნიშვნელოვანი და სიკეთის მომტანი და მადლობა გადაგიხადოთ თქვენი შემოქმედებისთვის, ძალიან დიდი ზრუნვისა და შემართებისათვის. დღევანდელი საღამოც ამის არაჩვეულებრივი გამოვლინებაა.

დედა ელენე:

— ის, რაც ყველაზე მეტად ფასობს, ეს არის ცხელი და მგზნებარე გული. მინდა ვთქვა, რომ ყველას, ვინც ამ ცენტრში საქმიანობს, ასეთი ანთებული გული აქვს. სწორედ ასეთი ანთებული გულით შეიძლება ადამიანმა გასცეს დიდი სიყვარული უანგაროდ, ჰქონდეს თანადგომის უნარი, შეეძლოს სხვისი გაჭირვების გულთან ახლოს მიტანა და არა მარტო გაჭირვების. მე ვფიქრობ, ზოგჯერ სიხარულის გაზიარება უფრო უჭირს ხოლმე ადამიანს, ვიდრე გაჭირვების და სთესო სიკეთე, სიყვარული — ეს ძალინ ძნელია, როდესაც ადამიანს ათასგვარი გასაჭირი აქვს და თითქოს უსიხარულო დღეებია. მე ვიცი, როგორ უხარია ყველას მათი გამოჩენა, მათი საღამოები, რასაც დავსწრებივარ. ისეთი სიხარულით მოდიან, ისეთი კმაყოფილები მიდიან მერე, რომ მათი კმაყოფილება და სიყვარული ამათაც მეტ სტიმულს აძლევს, განსაკუთრებით დიდ სტიმულს აძლევს, რომ იმუშაონ. მე პირადად მინდა უაღრესი მოკრძალებით, სიყვარულით გამოვთქვა ჩემი დიდი მადლიერება ყველაფრისთვის, დღევანდელი მშვენიერი შეხვედრისათვის, ყველა თბილი სიტყვისათვის, მოგონებისათვის, რასაც თქვენგან ვგრძნობ. ღმერთს ვთხოვ, რომ მომცეს იმის ძალა და უნარი, რომ თქვენ როგორიც გგონივართ, ისეთი გავხდე. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და ბევრი კარგი, კეთილი საქმე გაგეკეთებინოთ იმიტომ, რომ ადამიანს ღმერთთან მხოლოდ თავისი კეთილი სურვილები, კეთილი საქმეები და ღვთის დიდება მიიყვანს. დალოცვილი იყავით. დიდი მადლობა ყველას, ცენტრის თანამშრომლებს და ყველას, ვინც დღეს აქ მობრძანებული ხართ.

პოეტი ლია სტურუა:

— ძალიან კარგია, რომ შეგიძლიათ სიკეთის კეთება. ადამიანი ვერ იგრძნობს თავს კარგად, თუ რაღაცას არ გააკეთებს აფხაზეთისათვის, მისი სულიერების და კულტურისთვის იმიტომ, რომ სული რომ ამოართვა ქვეყანას, ის ქვეყანა აღარ არის, არის რაღაც ველურების ტომი და ამიტომ ვცდილობთ, ძალიან გვინდა, ვიბრძვით სულის შენარჩუნებისთვის, რელიგიია ძალიან გვეხმარება ამაში. მინდა, რომ კარგად იყოთ. რაც არ უნდა კარგად იყო, როგორც არ უნდა უყვარდე, რაც არ უნდა კარგი ქალაქი იყოს თბილისი, შენს სახლს რომ კარგავ, შენს კუთხეს, შენს პატარა სამშობლოს, ამის გარაშე წარმოუდგენელია ცხოვრება და როგორც ჩანს, სრული კომპენსაცია ამისი ხდება იმით, რომ თქვენ მაქსიმალურად არ აგდებთ იმას არაფრად, რომ აფხაზეთი ამ წუთში ჩვენთან არ არის და აკეთებთ თქვენს საქმეს.

დეკანოზი ბიძინა:

— ეს იყო საოცარი მიგნება რეალობაში, ეს ცენტრი და კიდევ ქალბატონ სვეტლანას პიროვნება, რომელიც პატრიარქმა გამოარჩია და საოცარი ნდობით არის აღჭურვილი პატრიარქის მხრიდან და სიხარულით ადევნებს თვალს ამ ცენტრის საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ არ არის საშუალება უფრო მეტი ფართობი იყოს, შემოქმედებითი საქმიანობა მაინც წარმოებს. მე ვფიქრობ, რომ სულ მალე ეს ცენტრი თავის საქმიანობას აფხაზეთში, სოხუმში გააგრძელებს.

შეხვედრის დასასრულს სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ სვეტლანა ქეცბამ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სტუმრებს.

სიყვარულის მიძღვნა

საქართველო პატივს მიაგებს ყველას, ვინც ბედის განგებით ჩვენს ქვეყანაში მოხვედრილი, სუფთა გულითა და სუფთა ხელებით ემსახურებოდა მას, თვლიდა თავის მეორე სამშობლოდ.

ასეთი იყო იოსებ რატილი (ნავრატილი), საუკეთესო ჩეხი ტენორი, რომელმაც შეისწავლა ქართული მუსიკალური ფოლკლორი და სათავეში ჩაუდგა საქართველოში პირველ კოლექტივს, რომელიც ხელს უწყობდა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც — აღნიაშვილის ცნობილ გუნდს.

დიდი გულის ადამიანი იყო მეორე ჩეხიც — ივანე პრიბილი, რომლის მოღვაწეობასაც ფართო საზოგადოება ცუდად იცნობს, მაშინ, როდესაც ივანე პრიბილმა სერიოზული სამედიცინო განათლება მიიღო პრაღასა და ვენაში. 1816 წელს საქართველოში მოწვევით ჩამოსულმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ამ ქვეყანას.

მ.წ. 4 ივნისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ჩეხურ სათვისტომო „ზლატა პრაღასთან“ ერთად საქართველოში ჩეხეთის საელჩოს მხარდაჭერით მოაწყო წარმოშობით ჩეხი სამხედრო ექიმის, მედიცინის დოქტორის, XIX საუკუნის გამოჩენილი ექიმ-ეპიდემიოლოგის ივანე პრიბილის (1782-1866) ხსოვნისადმი მიძღვნილი შეკრება.

ივანე ანტონის ძე პრიბილი, რომელსაც დიდი ცოდნა ჰქონდა ბალნეოლოგიის სფეროში, გულმხურვალედ და ენერგიულად შეუდგა საქართველოს ბალნეოლოგიურ სიმდიდრეთა კვლევას (სხვათა შორის, იგი, ევროპულ ენებთან ერთად, ქართულსაც ფლობდა). პრიბილი იკვლევდა ციხისჯვრის მინერალურ წყაროებს, შემდეგ აბასთუმნისა და ურაველის წყაროებს, ახტალის სამკურნალო ტალახს სოფ. გურჯაანში. ამ კვლევების საფუძველზე შემუშავდა წინასწარი მეთოდიკა, ჩვენება და უკუჩვენება მათი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას ივანე პრიბილი უთმობდა ბორჯომის მინერალურ წყაროებს. პირველ სამეცნიერო-პრაქტიკულ სამუშაოს ბორჯომის მინერალურ წყაროებზე იგი ხელმძღვანელობდა. მისი შუამდგომლობით (ასევე სხვა სპეციალისტებისაც) დაიწყო კურორტ ბორჯომის მშენებლობა, ბორჯომის მინერალური წყლის ფართო პოპულარიზაცია. სწორედ ბორჯომი იქცა ქართული კურორტოლოგიის აკვნად. მალევე დაიწყო აბასთუმნისა და ურაველის ბალნეოლოგიური ფაქტორების კვლევა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე პრიბილი იყო საქართველოსთვის ახალი მეცნიერების — კურორტოლოგიის — ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მრავალმხრივია ივანე პრიბილის მოღვაწეობა. იგი იყო დამაარსებელი და ნამდვილი წევრი კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა, რომელმაც თავისებურად მედიცინის აკადემიის როლი შეასრულა საქართველოში; ასევე ამიერკავკასიის სამხედრო ჰოსპიტლის დამაარსებელი. იგი ფართოდ იყო ცნობილი, როგორც პრაქტიკოსი ქირურგი და ჯანდაცვის ორგანიზატორი საქართველოში.

ივანე პრიბილის მოღვაწეობა მრავალმხრივი და დიდად დაფასებულია.

ივანე პრიბილის მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს: სათვისტომო „ზლატა პრაღას“ ხელმძღვანელმა ჰაროლდ შმალცელმა, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა გურამ მგალობლიშვილმა, მედიცინის ისტორიის კათედრის გამგემ, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა რამაზ შენგელიამ, ასევე ცნობილმა ლიტერატორმა, საზღვარგარეთის ლიტერატურის სპეციალისტმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ივანე პრიბილის შვილთაშვილმა დედის მხრიდან ნატალია ორლოვსკაიამ.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ივან ესტრაბმა, რომელიც ღონისძიებაზე მეუღლესთან — პანი ევასთან ერთად მობრძანდა.

საღამო დაამშვენა ნორჩ პიანისტ ნინო კუპრეიშვილის (პროფ. ლალი სანიკიძის კლასი) გამოსვლამ.

წმიდა დიდი მეფენი, მოციქულთასწორნი კონსტანტინე (+ 308) და ელენე (+327) 21 (03.06) მაისი

კეისარ კონსტანციუს ქლორუსის (305-306) ვაჟმა, კონსტანტინემ ეკლესიისგან მიიღო მოციქულთასწორის წოდება, მსოფლიო ისტორიაში კი კონსტანტინე დიდი ეწოდა. იმ დროს რომის იმპერია ორ — დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილად იყო დაყოფილი. მათ სათავეში ედგა ორი დამოუკიდებელი იმპერატორი, რომელთაც თანამმართველებიც ჰყავდათ. ერთ-ერთი ასეთი თანამმართველი დასავლეთის იმპერატორისა იყო იმპერატორ კონსტანტინეს მამა. წმიდანის დედა — წმიდა ელენე ქრისტიანი იყო. რომის მომავალი იმპერატორი კონსტანტინე ქრისტიანული სარწმუნოებისადმი პატივისცემით იზრდებოდა. კონსტანციუს ქლორუსი არ დევნიდა ქრისტიანებს მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე სხვა ხელისუფალნი: დიოკლეტიანე, მაქსიმიანე გალერიუსი, მაქსიმიანე ჰერკულესი უსასტიკესად უსწორდებოდნენ მაცხოვრის სწავლების მიმდევრებს. მამის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე აირჩიეს გალიისა და ბრიტანეთის იმპერატორად.

ახალმა იმპერატორმა, უპირველეს ყოვლისა, აღმსარებლობის თავისუფლება მიანიჭა ქრისტიანებს. ფანატიკოსმა წარმართმა მაქსიმიანე გალერიუსმა და მკაცრმა ტირანმა მაქსენციუსმა მოიძულეს იმპერატორი და აღდგნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ წმიდა კონსტანტინემ ღვთის შემწეობით დაამარცხა მოწინააღმდეგეები. წმიდანი უფალს ეევედრებოდა, ზეცით მოეცა ნიშანი, რომელიც მის მომხრეებს გაამხნევებდა ბრძოლის წინ. მართლაც, ცაზე გამოჩნდა მოელვარე ჯვარი წარწერით: «ამით სძლევ». რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის ერთპიროვნულ მმართველად გახდომის შემდეგ, 313 წელს, იმპერატორმა მილანში გამოსცა ედიქტი რწმენის შემწყნარებლობის შესახებ, 323 წელს კი, როცა სრულიად რომის იმპერატორი გახდა, მილანის ედიქტი გაავრცელა მთელს იმპერიაში. სამასწლიანი დევნის შემდეგ ქრისტიანებს საშუალება მიეცათ თავისუფლად ეღიარებინათ სარწმუნოება.

წარმართებისაგან განდგომის შემდეგ წმიდა კონსტანტინემ იმპერიის დედაქალაქი გადაიტანა ბიზანტიაში, რომელსაც შემდეგ კონსტანტინეპოლი ეწოდა. წმიდა კონსტანტინე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ უზარმაზარ იმპერიას მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოება გააერთიანებდა; ყოველნაირად ეხმარებოდა ეკლესიას, აშენებდა ტაძრებს, ზრუნავდა სამღვდელოებაზე, იმპერატორს სურვილი ჰქონდა, მოეძებნა ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელზეც გაკრული იყო უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მან იერუსალიმში გაგზავნა თავისი დედა, წმიდა ელენე დედოფალი სამღვდელოებასთან და თანაშემწეებთან ერთად. იერუსალიმის პატრიარქ მაკარისთან ერთად წმიდა ელენე შეუდგა ჯვრის ძებნას და, ღვთის განგებულებით, სასწაულებრივად აღმოაჩინა კიდეც 326 წელს. პალესტინაში ყოფნისას წმიდა ელენემ ბრძანა, მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ქალწულის მიწიერი ცხოვრების ადგილები გაეწმინდათ და აეგოთ ტაძრები. მაცხოვრის საფლავზე წმიდა კონსტანტინეს ბრძანებით ააგეს დიდებული ტაძარი უფლის აღდგომის სახელობისა. წმიდა ელენემ ცხოველმყოფელი ჯვარი შესანახად გადასცა პატრიარქ მაკარის, ნაწილი კი წაასვენა კონსტანტინეპოლში, იმპერატორთან. დედაქალაქში დაბრუნებული დედოფალი 327 წელს აღესრულა.

ქრისტიანული ეკლესიის მშვიდობა დაარღვია მწვალებლობამ, რომელიც ეკლესიის შიგნით გაჩნდა. ჯერ კიდევ იმპერატორის მოღვაწეობის დასაწყისში დასავლეთში გაჩნდა დონატისტთა და ნოვაცისტთა ერესი, რომელიც მოითხოვდა დევნის დროს განდგომილ ქრისტიანთა განმეორებით მონათვლას. ორი ადგილობრივი კრების მიერ უარყოფილი ეს ერესი საბოლოოდ დაგმო მილანის 316 წლის კრებამ. ეკლესიის ცხოვრება განსაკუთრებით შეარყია იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების უარმყოფელმა არიოზის ერესმა. იმპერატორის ბრძანებით 325 წელს ქ. ნიკეაში ჩატარდა I მსოფლიო საეკლესიო კრება. მას 318 ეპისკოპოსი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ აღმსარებლები, ეკლესიის მნათობნი, რომლებმაც უსასტიკესი დევნა დაითმინეს. კრებას თვით იმპერატორიც ესწრებოდა. არიოზის ერესი დაგმეს და შეადგინეს რწმენის სიმბოლო, რომელშიც შეტანილი იქნა ტერმინი «ერთარსი მამისა».

ნიკეის კრების შემდეგ მოციქულთასწორმა კონსტანტინემ გააგრძელა მოღვაწეობა ეკლესიის სასარგებლოდ. სიცოცხლის ბოლოს იმპერატორმა ნათელიღო. იგი გარდაიცვალა სულთმოფენობის დღეს, 337 წელს, დასაფლავებულია წმიდა მოციქულთა სახელობის ტაძარში.

«წმიდათა ცხოვრება», ტომი I, თბილისი, 2009 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 ივლისი (ხუთშ.) — ღირსი მიქაელ ულუმბოელის ხსენება (VI ს.);
2 ივლისი (პარ.) — უფლის ძმის, მოციქულ იუდას ხსენება;
4 ივლისი — სულთმოფენობიდან მე-6 კვირა — წმ. დიდებულთა მოწამეთა საქართველოს მეფეთა არჩილისა (755 წ.) და ლუარსაბის (1622 წ.) ხსენება;
7 ივლისი (ოთხშ.) — შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
10 ივლისი (შაბ.) — ღირ. გიორგი მთაწმინდელისა (1065 წ.) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მღვდელმოწამე კირიონ II (1918 წ.) ხსენება;
11 ივლისი — სულთმოფენობიდან მე-7 კვირა, აღმოყვანება ნაწილთა წმიდა მოწამეთა კვიროს და იოანე უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა (412 წ.);
12 ივლისი (ორშ.) — **პეტრე-პავლობა** (დიდებულთა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლეს ხსენება);
13 ივლისი (სამშ.) — **სვეტიცხოვლობა** — დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ათორმეტ მოციქულთა კრება;
15 ივლისი (ხუთშ.) — დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას (V);
16 ივლისი (პარ.) — **გერგეთობა** — ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული სტეფანწმინდის რაიონის სოფელ გერგეტში;
17 ივლისი (შაბ.) — წმ. ანდრიას, კრეტელი მთავარეპისკოპოსის („სინანულის დიდი კანონის" შემქმნელის) ხსენება (712-726 წწ.);
18 ივლისი — სულთმოფენობიდან მე-8 კვირა, ღირ. ათანასე ათონელის ხსენება (1000 წ.);
23 ივლისი (პარ.) — ორმოცდახუთთა მოწამეთა, ნიკოპოლისში წამებულთა ხსენება (დაახლ.319 წ.);
25 ივლისი — სულთმოფენობიდან მე-9 კვირა, ღირ. მამათა ჩვენთა ათონელთა — იოანეს და გაბრიელის ხსენება (X ს.);
26 ივლისი (ორშ.) — კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა;
28 ივლისი (ოთხშ.) — მოწ. კვირიკესა და ივლიტას ხსენება (დაახლ.305 წ.);
30 ივლ. (პარ.) — დიდმოწამე მარინეს ხსენება (IV ს.) ;
31 ივლისი (შაბ.) — ღირ. კოზმან ხუცესმონაზონის ხსენება (1630 წ.);

---

1 აგვისტო — სულთმოფენობიდან მე-10 კვირა, ღირ. სერაფიმე საროველის ნაწილთა პოვნა (1903 წ.);
2 აგვისტო (ორშ.) — წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელის ხსენება (IX ს. ქრისტეს წინ);
— წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) ხსენება (1907 წ.);
— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე.

ჩვენი მოძღვარი

მიძინება - დღე მარადიულ ცხოვრებაში შობისა

წმიდა ეკლესია უდიდეს დღესასწაულთა დაწესებით, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების არსს, საღმრთო აღმშენებლობის გზას წარმოაჩენს, რითაც საშუალებას აძლევს თითოეულ მორწმუნეს (ეკლესის წიაღში) ღვთაებრივი ცხოვრების თანაზიარი გახდეს.

წლიური საღვთისმსახურო ციკლი (წრე), რომელიც მაცხოვრისა და ღვთისმშობლის, ანგელოზთა თუ წმინდანთა უძრავ დღესასწაულებს მოიცავს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულით (ძვ. სტ. 8.09) იწყება და მიძინების (ძვ. სტ. 15.08) მსახურებით სრულდება (4, 489). აღნიშნული წრე **საეკლესიო წელიწადს** მიეკუთვნება, რომელიც (ძვ. სტ-ით) პირველი სექტემბრით იწყება და 31 აგვისტოს მსახურებით მთავრდება (რაც ლიტურგიკული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, ქვეყნიერების შექმნიდან მეორედ მოსვლამდე დროის პერიოდს ეთანადება).

საეკლესიო წელიწადი პირობითად სამ პერიოდად იყოფა:

I. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობიდან (უფრო ზუსტად, საეკლესიო ახალი წლიდან — ძვ. სტ-ით პირველი სექტემბრიდან) მაცხოვრის შობამდე, რომელიც ძველი აღთქმის პერიოდს, ანუ დასაბამიდან ღვთის განკაცებამდე დროის ინტერვალს შეესაბამება;

II. მაცხოვრის შობიდან ამაღლების დღესასწაულის (აღდგომიდან მე-40 დღე) წარგზავნამდე, რომელიც მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას ეთანადება;

III. სულთმოფენობიდან (აღდგომიდან 50-ე დღე) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წარგზავნამდე, ანუ მიწიერი, მებრძოლი ეკლესიის დაარსებიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე დროის პერიოდს მოიცავს (4, 487).

ამრიგად, ლიტურგიკული თვალსაზრისით საეკლესიო წელიწადი არსობლივად არის დაკავშირებული

(გაგრძელება მე-9 გვ.)

(დასაწყისი მე-8 გვ.)

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან, და კაცთათვის არ არის სხვა გზა უფალთან ერთობისა, თუ არა ყოვ-ლადწმიდა ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებული მოკრძალებისა, თაყვანისცემისა და დაუცხრომელი ლოცვავედრებისა.

ზემოხსენებული გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ეკლესია შემდგომად უფლისა, ყველაზე დიდ პატივს ყოვ-ლადწმიდა ღვთისმშობელს მიაგებს, რაც ნათლად არის წარმოჩენილი მიძინების დღესასწაულის საგალობლებშიც.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სადღესასწაულო მსახურებაში მონაწილეობით, მორწმუნე ადამიანს საშუალება ეძლევა:

ა) სულიერი მზერა საღმრთო ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის ზოგიერთი ეპიზოდის ისტორიულ-ლიტურგიკულ თხრობას მიაპყროს, კერძოდ:

— იერუსალიმში მოციქულების სასწაულებრივ შეკრებას;

— მათ ბოლო საუბარს ღვთისმშობელთან;

— ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასა და დასაფლავებას;

— დასაფლავების შემდგომ მესამე დღეს მის გამოცხადებას და სხვა...

ბ) გაიაზროს ამ დღესასაწაულის უდიდესი მნიშვნელობა, ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზაზე, და მოზეიმე (ზეციურ) და მებრძოლ (მიწიერ) ეკლესიასთან ერთად მთელი გულით განადიდოს ღვთისმშობელი, და მარხვით, მღვიძარებითა და ლოცვით გამოითხოვოს მისგან შემწეობა ცხონების ურთულეს გზაზე.

ასეთ სულიერ მდგომარეობაში მყოფი მლოცველი ადამიანისათვის, ეს ცხოვრება ამაო საზრუნავით, სალმობით, იმედგაცრუებით, საცთურითა და სულიერი ტკივილითაა აღსავსე. ეკლესის წიაღში, ადამიანის სული აცნობიერებს წუთისოფლის ამაოებას, სადაც არ არის ჭეშმარიტი სიმშვიდე, ზეციური სიხარულის სისავსე, ბედნიერება, ღვთის წიაღში განსვენება და ნეტარება, არც სრულყოფილება. მაგრამ, მაინც გვეშინია **დროებითი (ხორციელი) სიკვდილისა** და მარადისობასთან შეხვედრისა. ძირითადი მიზეზი კი შემდეგშია: სათანადოდ არ გვიყვარს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. აკი ბრძანებს უფალი:... „უკუეთუ ვისმე **უყუარდე მე**, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს,... ხოლო რომელსა **არა უყუარდე მე**, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს„ (ინ. 14, 23-24).

ამგვარად, ნაცვლად იესო ქრისტესი, დროებითი ცხოვრება, წუთიერი სიამენი შევიყვარეთ, მთელი არსებით ცოდვათა ზღვაში გადავეშვით, გული გავუხსენით მომაკვდინებელ ვნებებს და შედეგად სამართლიანი, მარადიული სასჯელის გვეშინია.

ბრძანებს უფალი: „ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, **არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად„... (ინ. 5, 24).**

ამრიგად, თუ ყურად არ ვიღებთ წმიდა წერილის სიტყვებს ცხონებაზე და გავამრავლებთ ცოდვებს, ღვთის რისხვას დავიმსახურებთ, ხოლო უფალი, რომელსაც არ სურს ადამიანთა წარწყმედა, კვლავაც შეგვაგონებს და გვახსენებს **აპოკალიფსურ მოვლენებსა** და საშინელ აღსასრულს, რათა მარადჟამს ვიღვიძებდეთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება თითოეული მორწმუნისათვის **განსვლა ამა ქვეყნიდან — დღე მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა**, რისთვისაც **საშინელ სამსჯავროზე** ფიქრით, ღვთის შიშითა და სიყვარულით, მთელი გულისყური ლოცვის შემდეგ სიტყვებს უნდა მივაპყროთ:

— „გეგულვების დაჯდომა საყდართა ზედა, რომელმან შეჰქმენ სიტყვით ცანი და ქუეყანა, და გუეგულვების ყოველთა წარდგომა შენდა და მითხრობად ცოდუათა ჩუენთა, უწინარეს უკუეი დღისა მის სინანულად შემიწყნარე, უფალო პირველ სრულიად წარწყმედად ჩემდამდე მაცხოვნე მე“ (დიდი მარხვის V შვიდეულის ოთხშაბათის მწუხრის ჟამნი, 351).

მლოცველ ადამიანს ზემომოხმობილი სიტყვები, **წმ. ანდრია კრეტელის** შემდეგ ლოცვებსაც გაახსენებს:

— **„სულო ჩემო,** სულო ჩემო, აღჰსდეგ, რასა **გძინავს**, აღსასრული მოახლებულ-არს, და გეგულუების აღშფოთება. **განიღვიძე**, რათა შეგიწყალოს შენ ქრისტემან ღმერთმან, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს“ (რომლის გალობასაც წმიდა ეკლესია დიდი მარხვის I შვიდეულის პირველ ოთხ დღეს განაჩინებს).

— „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე, ისმინე შენ სულო ჩემო, ღაღადება უფლისა, და ევლტოდე პირველსა ცოდუასა და ჰსძრწოდე, ვითარცა მსაჯულისა, და ვითარცა ღვთისაგან“ (დიდი მარხვის I შვიდეულის ოთხშაბათის სერობის ჟამნი, ანდრია კრეტელის კანონის მე-2 გალობა).

ამგვარად, უთუოდ უნდა გვახსოვდეს **ამასოფლიდან ჩვენი განსვლის (მიძინების) გარდაუვალობა და ჟამი,** და ღვთისაგან ძალა და სიმხნევე ვითხოვოთ უხილავ მტრებთან საბრძოლველად. ყოველი აზრი, ყოველი სურვილი და ქმედება, ზედმიწევნით უნდა გამოვიძიოთ მარადიული ცხოვრების ფონზე, რათა საყოველთაო აღდგომასა და საშინელ სამსჯავროზე ფიქრით, ვნების ალი დავშრიტოთ, განვეშოროთ უჯერო ცხოვრებას და გოლგოთის მძიმე, მაგრამ მაცხოვნებელ გზას შევუდგეთ.

სადღესასწაულო მსახურების საკითხავებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ეგებებოდა მიძინებას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. მისთვის ეს იყო მეტად ნა-ნატრი დღე, დღე — უფალთან შეხვედრისა, დღე — ნეტარი განსვენებისა, არამიწიერი, ზეციური, მარადიული სიხარულისა, **დღე — მარადიულ (ნეტარ) ცხოვრებაში შობისა,** სადაც მართალთათვის ყოვლითურთ სავსე, კეთილისგან მოუკლებელი, სრულყოფილი და ნეტარი ცხოვრება სუფევს, რასაც ასე გადმოსცემს ჰიმნოგრაფი:

— ... „იგი წარსრული სავანესა შინა საუკუნესა **მხიარულ არს**, და მივალს **ზეცისა სიხარულად, საღმრთოსა შინა სიხარულსა და საუკუნესა საშუებელსა** „(მიძინების დღესასწაულის განგების მც. მწუხრის „უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა“ I დასდებელი).

— „შენ ხარ ტაძარი ცხოვრებისა, ამისთვისცა **ცხოვრებად** **მიიცვალე, სიკვდილითა შენითა**, დღეს

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

აღჰხედ კამარათა ცისათა, და ძისა შენისა თანა ღირს-იქმენ სუფევისა“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-6 გალობის II კანონის ბოლო ტროპარი).

— „ძლეულ იქმნნეს, ბუნებანი მეტყველნი, შენთვის ქალწულო უბიწოო, ქალწულებრივი შობა, და **სიკვდილი ცხოვრების მომცემელი**, და შემდგომად შობისა ქალწულად ჰგიე და მოკვდავი, **ცხოველხარ ღვთისმშობელო**, სამართლად გადიდებთ“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-9 გალობის I კანონის ძლისპირი).

ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სანატრელია ცოდვილ მიწაზე ამგვარი დასასრული, რასთანაც მხოლოდ ერთადერთი გზა, **გოლგოთის გზა** მიგვაახლებს, გზა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სათნო ცხოვრებისადმი მიბაძვისა, გზა მისდამი დაუშრეტელი ლოცვა-ვედრებისა, გზა სინანულისა, თავმდაბლობისა, მორჩილებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა.

ადამიანი მარადიულობისთვისაა შექმნილი, მაგრამ **ღვთის ნებისაგან** გარდასვლის გამო, დროებით სიკვდილს დაექვემდებარა. სწორედ ამიტომ, თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც გაიარა ცათა სასუფევლისაკენ მიმავალი **სიკვდილის „კარიბჭე“**, რასაც ასე უგალობს ჰიმნოგრაფი:

— „ვითარცა ძემან მისმან ჯერიჩინა დადებად ნებსით საფლავსა შინა, ვითარცა მკუდარმან, შემოქმედმან ცათამან, ეგრეთვე დედამან მისმან, მიიღო სასმელი სიკუდილისა“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-4 გალობის II კანონის ტროპარი).

— „ბუნებისაგან მოკუდავისა იშევ, რომელმან გვიშევ ჩუენ ცხოვრება, და მოიწია შენდა დღეს, თანამდები ბუნებისა და ცხოვრებად მიგცვალა შენ ძისა შენისა ღვთისმშობელო“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-3 გალობის II კანონის ტროპარი).

სამოთხეში ცხოვრება მანამ იყო უსაფრთხო, სანამ მას სიკვდილზე ფიქრი იცავდა: — „ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, **სიკუდილით მოჰკუდეთ**“ (დაბ. 2, 17). მაგრამ, მტერმა შეძლო და განაშორა ადამისა და ევასაგან სიკვდილის შიში: „და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: **არა სიკუდილით მოჰკუდეთ**“ (დაბ. 3,4), და შედეგად სიკვდილი შევიმოსეთ.

ამგვარად, შევიცნობთ რა ჩვენი დაცემის სიღრმეს, არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთას, და მორჩილებით და მინდობით მივყვეთ გოლგოთის გზას, შედეგად კი პიროვნულ ფერისცვალებას მივეახლოთ, **ფერისცვალებას**, რომელიც ძირეულად ცვლის ადამიანს (გარეგანიდან შინაგანისაკენ).

სწორედ ამიტომ, **მიძინების** დღესასწაულს **ფერისცვალების** დღესასწაული უძღვის წინ, რათა თითოეულმა გაიაზროს პიროვნული ფერისცვალების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რის გარეშეც სიკვდილის „კარიბჭის“ გავლა უდიდეს განსაცდელს მოუვლენს მოუმზადებელ ადამიანს.

მართლმადიდებელი ქრისტიანი პიროვნული ფერისცვალების შედეგად **სიკვდილის შიშის** მძლეველიც უნდა გახდეს. მისი სული სიკვდილის წინ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით, სიხარულითა და იმედით უნდა იყოს აღვსილი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოგვევლინება **სიკვდილი ზეცად აღმავალ კიბედ.** ამგვარი სიკვდილი მარადიული სიხარულის, ზეციური დიდების და ადამიანის ღმერთთან განუშორებელი ერთობის საწინდარია.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ჯეროვანია **ფიქრი სიკვდილზე**, როგორც მომავალ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რისთვისაც გულმოდგინე მზადება წინდაწინაა საჭირო, რაც უფლის ძალითა და მადლით, სიხარულითა და იმედით გააცისკროვნებს მორწმუნე ადამიანის გონებას. **სიკვდილზე ფიქრი** დაგვიცავს ყოველივე უჯეროსაგან, იმავდროულად ყოველივე იმისგანაც, რაც სიკვდილს საზარელს ხდის. და თუ ოდენ წუთისოფლით ტკბობის მიზეზით განვიშორებთ „აბეზარ“ აზრს სიკვდილზე, არათუ სხეულებრივს, არამედ საშინელ, სულიერ, მარადიულ სიკვდილს მივეახლებით.

ამრიგად, მიძინების დღესასწაულის საგალობლებისა და ლოცვების შინაარსიდან გამომდინარე, სიკვდილის წუთებში (მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისას) სულიერი მხნეობისა და სიმშვიდის მისაღწევად, ქრისტიანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში სამი ძირითადი საშუალება გააჩნია:

1. **ეკლესიური ცხოვრება და პირადული ღვაწლი** (რომელიც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის);

2. **ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობა** (რაც რწმენასა და ეკლესიურ ცხოვრებაზე ბევრად არის დამოკიდებული);

3. **ღვთის განუზომელი მოწყალება, რისი იმედიც მუდამჟამ უნდა ჰქონდეს თითოეულ მორწმუნეს, და რომლის გარეშეც შეუძლებელია ცხონება.**

ამგვარად, მიძინების დღესასწაულის საღვთისმეტყველო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი საცნაურდება, კერძოდ ის რომ:

1. მორწმუნეებს ასწავლოს **სხეულებრივი სიკვდილისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება, და ეკლესიის წიაღში, ამ გარდაუვალი მომენტის სათანადოდ შესახვედრად განაწყოს ისინი;**

2. **გააცნობიერებინოს თითოეულ მორწმუნეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული როლი, სიკვდილის წუთებში მისი შემწეობისა, რისთვისაც ჰიმნოგრაფთან ერთად დაუცხრომლად უნდა გან-ვადიდებდეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს:**

— „საღმრთოსა რა და ყოვლადწმიდასა მცნებასა გარდავხედით, **მიწად მივიქცევით**, ვინა იგი პირველ დავიბადენით, ხოლო შენ მიერ სძალო, ზეცად ავმაღლდით ქუეყანისაგან, და **სიკუდილისა ხრწნილებაი განვაგდეთ**, ამისთვის გნატრით ყოვლადუბიწოო“ (2, 222);

— „ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, **დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ნუ დამაგდებ**, და კაცობრივსა განზრახვასა ნუ მიმანდობ, არამედ შენ მეოხ მეყავ და **მაცხოვნე მე**“ (2, 219);

— „გიხაროდენ ქალწულო რომელმან ჰშევ ღმერთი ხორცითა, ცხოვრებად ნათესავისა კაცთასა, და ბუნებამან ჩუენმან ჰპოვა შენ მიერი გამოხსნა, მეოხებითა შენითა წარგვიძეხუ ჩუენ სამოთხედ, ღმრთისმშობელო მარადის კურთხეულო“ (2, 216) და სხვა.

თბილისის სასულიერო
აკადემიისა და სემინარიის
ლიტურგიკის ლექტორი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩვენი მფარველი წმიდანები

სიყვარულის ძიძაობა

ჩვენი აფხაზეთი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი